585
1951.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 8 (41) 31 დეკემბერი 1951 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „ბრძანებულებანი და დადგენილებანი

89. ბრძანებულება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

90. ბრძანებულება თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემქმნის შესახებ.

91. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სამატიო წოდების მინიჭების შესახებ.

92. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით.

93. „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება ვ. დ. დობრეანსკაიასათვის, ტ. ბ. ფარცხალაძისათვის, დ. ბ. შანიძისათვის, ვ. ი. ცივარიაშვილისა და გ. ა ბეროძისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებას.

94. ბრძანებულება ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემქმნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

89. გრძანებულება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების დამტკიცებიხ შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 16 ნოემბერი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტისა

I. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო

1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო არის სახელმწიფო ძალაუფლების ორგანო ოლქში.

2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ირჩევენ ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით. არჩევნები წარმოებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით დაწესებული წარმომადგენლობის ნორმების მიხედვით.

3. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო ხელმძღვანელობს კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობას თავის ტერიტორიაზე, აწესებს ადგილობრივ ბიუჯეტს, ხელმძღვანელობას უწევს მმართველობის მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მოქმედებას, უზრუნველყოფს სახელმწიფო წესრიგის დაცვას, ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერებას, უზრუნველყოფს კანონების შესრულებასა და მოქალაქეების უფლებათა დაცვას.

4. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მას მინიჭებული აქვს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კანონებით.

5. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესიებს იწვევს მისი აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ოთხჯერ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო თავისი სესიის დროისათვის ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს სესიის სხდომათა გასაძღოლად.

7. ყველა საკითხი მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესიის სხდომებზე წყდება ღია კენჭისყრით და ხმის უბრალო უმრავლესობით.

8. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებანი შეიძლება გააუქმოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან.

II. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ა. საერთო დებულებანი

9. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო არის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს საოლქო საბჭო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

10. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობას ოლქის ტერიტორიაზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

11. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგნებს ეკუთვნის:

ა) მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოების, აგრეთვე კოლეიურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის ხელმძღვანელობა, წარმართვა და გაერთიანება;

ბ) კანონთა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა განხორციელება;

გ) მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და სოციალისტური მეურნეობის სხვა დარგების, აგრეთვე ოლქის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა;

ე) სოციალისტური საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვა.

12. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად უფლება ეძლევა:

ა) გამოიტანოს თავისი კომპეტენციის საკითხებზე ყველა ორგანოსა და პირისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი;

ბ) გამოსცეს სავალდებულო გადაწყვეტილებანი და დააწესოს მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან, ჯეროვან შემთხვევებში, სასამართლო წესით;

გ) გააუქმოს და შესცვალოს ქვემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და შეაჩეროს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოების გადაწყვეტილებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კონტროლი და რევიზია გაუწიოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ყველა ორგანოს საქმიანობას;

ე) აღძრას დადგენილი წესით შუამდგომლობა სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების იმ დადგენილებათა, განკარგულებათა, ბრძანებათა და ინსტრუქციათა გაუქმებისა თუ შეცვლის შესახებ, რომლებიც ადგილობრივი პირობების მიხედვით მიზანშეუწონლად ჩაითვლება;

ვ) დაადოს დისციპლინარული სასჯელი, მოქმედ კანონთა ფარგლებში, ამ აღმასრულებელი კომიტეტისა და ქვემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წევრებს, აღმასრულებელი კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ყველა ორგანოს მუშაკებს;

ზ) მეთვალყურეობა გაუწიოს, მოქმედ კანონთა შესაბამისად, ცენტრალური ორგანოებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს საქმიანობას, რომლებიც არ შედიან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა შემადგენლობაში, აცნობოს მუშაობაში არსებული დარღვევანი და ნაკლოვანებანი შესაბამის ცენტრალურ დაწესებულებას და უშუალოდ არ ჩაერიოს ამ დაწესებულებათა და საწარმოთა ოპერატიულ საქმიანობაში;

თ) ისარგებლოს იურიდიული პირის უფლებით.

13. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმონ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

14. ოლქის სახელმწიფო მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებსა და სამმართველოებს: ადგილობრივი მრეწველობის, არქიტექტურის საქმეთა, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, საგზაო, საერთო, საფინანსო, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ხელოვნების საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს; კონოფიკაციის, საავტომობილო ტრანსპორტის, სასოფლო და საკოლმეურნეო შენებლობის საქმეთა, სატყეო მეურნეობის, საწმენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტექნიკურ კულტურათა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებს; საგეგმო კომისიას; ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან—კადრების სექტორს.

ოლქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა განყოფილებებიც და სამმართველოებიც ზემდგომი ორგანოების დამტკიცებით.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არიან: სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამმართველო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველო, იუსტიციის სამინისტროს სამმართველო და დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული.

15. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და სხვა ორგანოები მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების სათავეში დგას გამგე, ხოლო სამმართველოს სათავეში—უფროსი. განყოფილებათა გამგეებსა და სამმართველოთა უფროსებს, გარდა ამ დებულების 14 მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილი სამმართველოების უფროსებისა, ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს საქართველოს სსრ შესაბამისი მინისტრი ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამმართველოს უფროსი.

17. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამმართველოს.

18. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ განყოფილებათა გამგეებსა და სამმართველოების უფროსებს, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, სამინისტროების რწმუნებულებს, საოლქო პროკურატურის წარმომადგენლებსა და სხვა საგანგებოდ მიწვეულ პირებს.

19. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების დამტკიცებისა და სამართალში მიცემა არ შეიძლება აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

3. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობანი

20. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების მოწყობისა და განხორციელების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) დაამტკიცოს ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა;

ბ) დაამტკიცოს ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა;

გ) შექმნას მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით დაწესებული ნორმების შესაბამისად; გამოაქვეყნოს საარჩევნო ოლქების სიები;

დ) დაამტკიცოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების საქალაქო საბჭოების არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა;

ე) დანიშნოს შესაბამის საარჩევნო ოლქში ახალი დეპუტატის არჩევნები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ან საოლქო დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შემთხვევაში.

21. მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციისა და საქმიანობის ხელმძღვანელობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს და წარმართოს მშრომელთა დეპუტატების ყველა ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობა ოლქის ტერიტორიაზე, განახორციელოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა უშუალო ზედამხედველობა, აგრეთვე გამოიკვლიოს და ინსტრუქტაჟი გაუწიოს ყველა ქვემდგომ საბჭოს მუშაობის ყველა საკითხში, მოისმინოს და განიხილოს მოხსენებანი ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობაზე და გამოიტანოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) დაიწესოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წევრთა რიცხვი;

დ) გადაჭრას ახალი სასოფლო და სადაბო საბჭოების შექმნისა, მათი საზღვრების შეცვლისა, მათი ცენტრების გადატანისა და მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნის საკითხები, რასაც შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დაამტკიცებს.

22. საგგმო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) შეადგინოს ოლქის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალური ნაკრები გეგმები და დაამტკიცოს ისინი შესაბამისი ცენტრალური ორგანოების მიერ საქართველოს სსრ საერთო გეგმასთან შეთანხმების შემდეგ;

ბ) დაამტკიცოს გეგმები ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ცალკეულ დარგთა მიხედვით ნაკრები გეგმების საფუძველზე;

გ) განიხილოს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისადმი დაქვემდებარებული მეურნეობის დარგების სპბიუჯეტო დაფინანსებისა და საბანკო დაკრედიტების გეგმები;

დ) მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარების გეგმების განსორციელებას;

ე) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ოლქის საწარმოო ძალების გამოკვლევისა და სახალხო მეურნეობის შესწავლის გეგმები და ღონისძიებანი;

ვ) დაამტკიცოს აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის გეგმები;

ზ) განიხილოს ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოთა პერსპექტიული გეგმების ის ნაწილი, რომელიც ეხება საოლქო დაქვემდებარების მეურნეობის ინტერესებს, და მისკენ შესაბამისი დასკვნები მათ შესახებ.

23. მრეწველობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს საოლქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, განახორციელოს სოციალისტური მრეწველობის განვითარებისა და ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედლეულისა თუ სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივ გამოყენების ღონისძიებანი;

ბ) დაამტკიცოს საოლქო დაქვემდებარების მრეწველობის წარმოების, ხარისხობრივი მაჩვენებლების, ფინანსებისა და კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალური ნაკრები გეგმები;

გ) დანერგოს წარმოების მექანიზაცია, ახალი ტექნოლოგია და მოწყობილობის გამოყენების პროგრესული ნორმები, განახორციელოს ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ადგილობრივი ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ახალ სახეობათა გამოყენებისა და ახალი სახის ნაწარმთა წარმოების, შინაგანი რესურსების მობილიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებანი;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოთა და მშენებლობათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისაკენ მიმართულ სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობასა და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების საქმეში;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს საოლქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა საფინანსო მუშაობას; დაამტკიცოს ამ საწარმოთა ანგარიშები და ბალანსები, აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტებთან საოლქო სამრეწველო საწარმოთა ანგარიშსწორების წარმოების გეგმები;

ვ) უზრუნველყოს საოლქო დაქვემდებარების მრეწველობის წარმოებისა და მშენებლობის ტექნიკური და მატერიალური მომარაგება; გაანაწილოს ოლქისათვის გამოყოფილი ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის ფონდები; განახორციელოს დახმარება ამ ფონდების რეალიზაციაში;

ზ) განახორციელოს საოლქო დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ პროდუქციის ჩაბარების თავვრობის გეგმის შესრულების ღონისძიებანი; მოაწყოს საოლქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა არასაფონდო და დაუგეგმავი პროდუქციის გასაღება და ვაჭრობა; დაამტკიცოს საოლქო დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ფასები;

თ) განახორციელოს ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის მეთვალყურეობა (სამხედრო სამინისტროს, სამხედრო-საზღვაო სამინისტროს, სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა გამოკლებით) მათ მიერ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულების, მათთვის გაღებული სახსრებისა და მატერიალური რესურსების სწორი და ეკონომიური გამოყენების, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვის თვალსაზრისით და, ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, მისი გასაღების თვალსაზრისით, ხოლო მუშაობაში არსებული დარღვევანი და ნაკლოვანებანი აცნობოს შესაბამის ცენტრალურ ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად;

ი) განახორციელოს, შესაბამის რესპუბლიკურ და საკავშირო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და მშენებლობათა მუდმივი და სეზონური მუშახელით უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მატერიალური მოწყობისა და სწორად გამოყენების ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი მუშათა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად შრომითი რეზერვების სამინისტოს სისტემის საშუალებით და თვით საწარმოებსა და მშენებლობებზე;

კ) დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომ საბჭოთა ორგანოებს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებათა, საწარმოთა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა მუშამობის სერიოზული ნაკლოვანებანი და უწინარეს ყოვლისა კი მთავრობის იმ დადგენილებათა შეუსრულებლობის ფაქტები, რომლებიც მათ ეხება, მათი ხელმძღვანელების ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისა ან უმოქმედობის, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაფლანგვისა და მტაცებლობის, მათი დაუდევრად და უკანონოდ გამოყენების ფაქტები.

24. სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) განახორციელოს, სახელმწიფო გეგმებისა და მთავრობის დადგენილებების შესაბამისად, ოლქის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერების, სოფლის მეურნეობაში საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა დანერგვის, სარწყავი სისტემებისა და სოფლის ელექტროსადგურების მშენებლობის ღონისძიებანი, განახორციელოს აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომ სწრაფ და სისტემატურ გადიდებას, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებასა და ამავე დროს მისი პროდუქციულობის მნიშვნელოვან ზრდას;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლქის კოლმეურნეობებს, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების განმტკიცებისათვის მომზადებული და პატიოსანი მუშაკებით, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიგებიდან, ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისა და შემდგომი განვითარებისათვის; ამავე დროს კოლმეურნეობები აუცილებლად და პირველ რიგში უნდა ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე;

გ) უზრუნველყოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების, ქონებისა და ფულადი თუ ნატურალური შემოსავლის დაცვა ყოველგვარი ანტისაკოლმეურნეო და დანაშაულებრივი ელემენტების ხელყოფისაგან, უზრუნველყოს კოლმეურნეობათა ქონებისა და შემოსავლის გამოყენება პირდაპირი დანიშნულებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნის თანახმად; მხედველობაში იყოს მიღებული, რომ მათი რაც შეიძლება მეტი ნაწილი მოხმარდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ გაფართოებას;

დ) აღრიცხოს და აწარმოოს ყველა მიწის ჩაწერა სანახებისა და მიწის მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით, აგრეთვე რეგიზია გაუკეთოს კოლმეურნეობათა მიწებისა და კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მიწის მოსარგებლეთა პირადი სარგებლობის საკარმიდამო მიწების ფაქტიურ ოდენობას და კონტროლი გაუწიოს მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, მოაწყოს და განახორციელოს მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოსაყოფად; შეადგინოს ოლქის მიწების ნაკრები ბალანსი;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯიშიანი თესლით უზრუნველყოფას მალანის საქონიოების რაოდენობით თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის და აგრეთვე დაწესებული სადაზღვევო და გარდამავალი სათესლე ფონდებისათვის;

ვ) განაწილოს ოლქის რაიონებში საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გამოყოფილი მინერალური სასუქები, მანქანები, იარაღები, ინვენტარი და მასალები და კონტროლი გაუწიოს მათს სწორ გამოყენებას;

ზ) დაამტკიცოს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები, ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს მათს შესრულებას; განახორციელოს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და ფრინველის რაოდენობის გამრავლების, მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქციულობის გადიდების ღონისძიებანი; მოაწყოს ვეტერინარული ზედამხედველობა, ვეტერინარული დახმარება და ბრძოლა ეპიზოოტიასთან; განამტკიცოს და გაიფართოოს საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის; კონტროლი გაუწიოს საძოვრების სწორ გამოყენებას;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს კოლმეურნეობების სამეურნეო შენობათა, დამხმარე საწარმოთა და ნაგებობათა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საზოგადოებრივ შენობათა მშენებლობას;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოების მუშაობას; ხელმძღვანელოს მტს-ების ხელშეკრულებათა დადებას კოლმეურნეობებთან სატრაქტორო სამუშაოებზე და კონტროლი გაუწიოს ამ ხელშეკრულებათა შესრულებას;

კ) მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება, განაზოგადოს და დანერგოს მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების და სოფლის მეურნეობის მოწინავეების გამოცდილება, გასწიოს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა სოფლის მეურნეობაში;

ლ) მოაწყოს სოფლის მეურნეობის კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება;

მ) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს სამელიორაციო მუშაობას, მოაწესრიგოს წყალთა მეურნეობა, უზრუნველყოს სარწყავ ნაგებობათა წესიერ მდგომარეობაში შენახვა, მორწყვის მოწინავე საშუალებათა დანერგვა და სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება;

ნ) მოაწყოს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან;

ო) მოაწესრიგოს ნადირობისა და მეთევზეობის მეურნეობა.

25. სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს ტყის მოწყობის, ტყის აღდგენის, სატყეო-სამელიორაციო და ტყის მეურნეობის სხვა სამუშაოთა პერსპექტიული და წლიური გეგმები; განახორციელოს უტყეო და მცირეტყიანი რაიონების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის უფარგისი მიწების გატყიანების, ქარსაცავი და მინდორსაცავი ნარგავების გაშენებისა და ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო მწვანე ზონის შექმნის ღონისძიებანი;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სატყეო მეურნეობის გამგებლობას, განიხილოს და დაამტკიცოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და საკოლმეურნეო ტყეებში ტყით სარგებლობის გეგმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოაწყოს და განავითაროს სატყეო მეთესლეობის საქმე და ტყის საწერგეგები ოლქის საჭიროებისათვის;

დ) მოაწესრიგოს და განახორციელოს ტყის ხანძართა, ტყის მავნებელთა და დაავადებათა თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

ე) გამოარკვიოს, თუ რამდენი ხე-ტყე ესაჭიროებათ ოლქის ორგანიზაციებსა და მოსახლეობას მასალად, შეშად და სადურგლოდ, წარადგინოს მათზე განაცხადები და გაანაწილოს მთავრობის მიერ ოლქისათვის დამტკიცებული მოსაჭრელი ხე-ტყის ფონდი; მოაწყოს ხე-ტყის დამზადება ოლქის საჭიროებისათვის; კონტროლი გაუწიოს მოსაჭრელი ხე-ტყის ფონდების სწორად გამოყენებას და ტყის ექსპლოატაციას.

26. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო დამზადების განხორციელების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) დაამტკიცოს სახელმწიფოსისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის რაიონობრივი გეგმები ზემდგომი ორგანოების მიერ ოლქისათვის დაწესებული გეგმების შესაბამისად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და დამზადების შესახებ მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე;

ბ) მიიღოს ზომები, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს საოლქო რწმუნებულთან ერთად, რათა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობებმა, აგრეთვე კოლმეურნეებმა და სხვა ინდივიდუალურმა ჩამბარებლებმა აუცილებლად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმები;

გ) თვალყური ადევნოს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო მარაგის უვნებლად შენახვას, განახორციელოს ღონისძიებანი სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს ორგანიზაციებისათვის ელევატორების, საწყობების, წისქვილების მშენებლობისა და რემონტის საქმეში დახმარების გასაწევად, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კეკების მრეწველობის სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ჩაის მწვანე ფოთლის, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების დროიანად და კარგი ხარისხით გადამუშავების საქმეში დახმარების გასაწევად.

27. ვაჭრობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლქის ტერიტორიაზე საბჭოთა სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებას და მოაწესრიგოს სავაჭრო ბრუნვა სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კანონების, აგრეთვე შესაბამისი ზემდგომი ორგანოების დირექტივების საფუძველზე;

ბ) დაამტკიცოს საქონლებრუნვის, სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარების გეგმები, აგრეთვე სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეზიდვისა და რეალიზაციის გეგმები;

გ) განაგოს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისათვის უშუალოდ დაქვემდებარებული სახელმწიფო სავაჭრო საწარმოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საერთო კონტროლი გაუწიოს და მოაწესრიგოს ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების სავაჭრო საწარმოთა საქმიანობა;

ე) თვალყური ადევნოს ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობას დამზადების დარგში;

ვ) უზელმძღვანელოს ოლქში საკოლმეურნეო ვაჭრობის მოწყობას; ხელი შეუწყოს მის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, საკოლმეურნეო ბაზრების გამართვასა და კეთილმოწყობას;

ზ) მიიღოს ზომები სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაზე მშრომელთა ფართო საზოგადოებრივი კონტროლის მოსაწყობად;

თ) განახორციელოს ღონისძიებანი ვაჭრობის დარგის მუშაკთა კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად; განახორციელოს ზომები გაფლანგვასა და მტაცებლობასთან და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევასთან საბრძოლველად.

28. კომუნალური მეურნეობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს და წარმართოს მუშაობა ქალაქმშენებლობის, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში;

ბ) დაამტკიცოს რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების პერსპექტიული, წლიური და კვარტალური ნაკრები საწარმოო და საფინანსო გეგმები, საბინაო და კომუნალური მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოთა და რემონტის გეგმები;

გ) უხელმძღვანელოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საბინაო და კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციას, კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალურ საწარმოთა მშენებლობას, რომელსაც საოლქო დაქვემდებარების ორგანიზაციები ახორციელებენ;

დ) გაანაწილოს ოლქისათვის გამოყოფილი ნედლეულის, მასალების, მოწყობილობისა და სათბობის ფონდები, განახორციელოს დახმარება ამ ფონდების რეალიზაციისათვის;

ე) უხელმძღვანელოს საოლქო ორგანიზაციების, საწარმოებისა და მოსახლეობის სათბობით მომარაგებას, კონტროლი გაუწიოს კომუნალური მეურნეობის საწარმოებში სათბობის გამოყენებას;

ვ) ხელი შეუწყოს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებას.

29. არქიტექტურის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) მიიღოს ზომები სახელმწიფო, სამრეწველო, კულტურულ დაწესებულებათა შენობების მშენებლობის არქიტექტურული დაპროექტების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმვის გასაუმჯობესებლად;

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერისა და სკულპტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) დაამტკიცოს საარქიტექტურო კომისიების პერსონალური შემადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ტრანსპორტის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს ოლქის გზატკეცილების მშენებლობასა და საგზაო მეურნეობის მოვლა-პატრონობას;

ბ) დაამტკიცოს საგზაო მეურნეობის ნაკრები, პერსპექტიული, წლიური და კვარტალური საწარმოო და საფინანსო გეგმები, აგრეთვე საგზაო მუშაობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმები;

გ) უხელმძღვანელოს საოლქო დაქვემდებარების სატრანსპორტო დაწესებულებათა კადრების მომზადებისა და გადამზადების მოწყობას;

დ) აღრიცხოს ავტო-მოტო-მანქანები ოლქში და თვალყური ადევნოს ავტოსაწარმოებისა და ავტომეურნეობის მუშაობას და მათს საექსპლოატაციო ანგარიშგებას;

ე) დაამტკიცოს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ადგილობრივი ავტოსაუპანო ტარიფები;

ვ) უმუალოდ განაგოს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში მყოფი გზები და გზების ნაგებობანი.

31. ფინანსების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) შეადგინოს და დაამტკიცოს საოლქო ბიუჯეტი და მისი კვარტალური დანაყოფები, განიხილოს და დაამტკიცოს ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტების კრებული, ამასთან გამოყოს რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტები, შეადგინოს ადგილობრივი ბიუჯეტების ოლქობრივი კრებული და დასამტკიცებლად წარუდგინოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს;

ბ) შეასრულოს დამტკიცებული საოლქო ბიუჯეტი, თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს ოლქის ქვემდგომი ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებას;

გ) შეადგინოს საოლქო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, განიხილოს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოებიო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები, შეადგინოს ოლქის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების კრებული და დასამტკიცებლად წარუდგინოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს;

დ) ადგილი გადაუნაცვლოს განსაკუთრებულ შემთხვევებში საოლქო ბიუჯეტის კრედიტებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) უხელმძღვანელოს სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებას, აგრეთვე დაადგინოს მათი გადახდევინების წესები და ვადები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) დაიწესოს ქვემდგომი საბჭოების ბიუჯეტებისათვის სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადთა ანარიცხების ოდენობა ოლქის ბიუჯეტის დამტკიცების დროს გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში;

ზ) გაატაროს ოლქში ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები მოქმედი კანონის შესაბამისად;

თ) გაანაწილოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავალი და გასავალი საოლქო, რაიონულ და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების საქალაქო ბიუჯეტებს შორის;

ი) განიხილოს დადგენილი წესით საჩივრები სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსასვლებთა გადახდევინებისა და არასაგადასახადო ხასიათის შემოსავლის საკითხებზე;

კ) მიანიჭოს შეღავათები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადამხდელთა ცალკეულ ჯგუფებს სახელმწიფო გადასახადთა და გამოსაღებთა დარგში;

ლ) მიიღოს ზომები, რათა სწორად იქნას აღრიცხული ოლქის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ფონდები და ადგილობრივი მნიშვნელობის ქონება, გაანაწილოს ადგილობრივი ქონება საოლქო აღმასრულებელ კომიტეტსა, საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს შორის და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესიათაშორის პერიოდში გადაწყვიტოს ადგილობრივი საბჭოებისაგან ქონების მიღების საკითხები და შემდეგ თავისი გადაწყვეტილებანი დასამტკიცებლად წარუდგინოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს;

მ) განაგოს კანონით დაწესებულ ფარგლებში საოლქო დაქვემდებარების საწარმოთა და ქონების უშუალო ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალი;

ნ) გადაწყვიტოს საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ცალკეული დაწესებულებებისათვის მესამე ხარისხის კრედიტების განმკარგულებელთა უფლებების მინიჭების საკითხი.

32. სახელმწიფო კრედიტის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს ოლქის საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობას;

ბ) გაავრცელოს სახელმწიფო სესხები;

გ) ხელი შეუწყოს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების ქსელის გაფართოებას.

33. სახელმწიფო დაზღვევის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) განიხილოს სახელმწიფო დაზღვევის საოლქო ორგანოების საქმიანობის გეგმები სახელმწიფო დაზღვევის დარგში მოქმედი კანონებისა და ინსტრუქციების თანახმად და განახორციელოს საერთო მეთვალყურეობა მათს საქმიანობაზე;

ბ) დაამტკიცოს სახელმწიფო დაზღვევის განხორციელების გეგმა ოლქის ტერიტორიაზე, აგრეთვე დაამტკიცოს გამაფრთხილებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ანარიცხთა განაწილების საოლქო გეგმა;

გ) მოაწყოს საავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა, აგრეთვე სხვა სახეობათა დაზღვევა ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმის ფარგლებში.

34. კოოპერაციული ორგანიზაციების მეშაობის გაუმჯობესების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უხელმძღვანელოს ყველა ტიპის ზოგადი განათლების სკოლებს, საბავშვო ბაღებს, საბავშვო სახლებს, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს, აგრეთვე ხელი შეუწყოს ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა (უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სახელოსნო სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სხვ.) ნორმალურ საქმიანობას, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანოებს; უხელმძღვანელოს სკოლების დაკომპლექტებას პედაგოგებით, უზრუნველყოს სკოლები და სხვა საბავშვო დაწესებულებანი სახელმძღვანელოებით, მოწყობილობითა და სათბობით;

გ) განსაზღვროს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი: სოფლად — რვაწლიანი სკოლის კურსისა და ქალაქად — საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში;

დ) კონტროლი გაუწიოს ზოგადი განათლების სკოლების მიერ სახელმწიფო სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას;

ე) უხელმძღვანელოს მუშაობას ბავშვთა უპატრონობასთან და უმეთვალყურეობასთან ბრძოლის, აგრეთვე მცირეწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის დარგში;

ვ) იზრუნოს პედაგოგთა დახელოვნებისა და მათი საყოფაცხოვრო მოწყობისათვის;

ზ) დაამტკიცოს სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმები;

თ) უზრუნველყოს სკოლის შენობების რემონტი და მშენებლობა ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმით და ამ საქმეში ჩაბას ფართო საზოგადოებრიობა;

ი) დაამტკიცოს ზოგადი განათლების სკოლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარების და მოსწავლეთა კონტინგენტის ყოველწლიური გეგმები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად;

კ) განიხილოს და დაამტკიცოს სახალხო განათლების დაწესებულებათა საფინანსო გეგმები, კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნმობათა სწორ გამოყენებას.

38. ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეს;

ბ) უხელმძღვანელოს მისთვის დაქვემდებარებულ ფიზიკულტურულ და სასპორტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ქსელს;

გ) უხელმძღვანელოს საოლქო დაქვემდებარების სასწავლებლებს, რომლებიც კადრებს აბზადებენ ფიზკულტურული და სასპორტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

39. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს ოლქის ტერიტორიაზე სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს დაავადებათა ფართო პროფილაქტიკისა და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და უფასო საექიმო დახმარების საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს ღონისძიებანი ეპიდემიურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად;

გ) მოაწესრიგოს სანიტარული მუშაობა ოლქში; მოაწყოს და თვალყური ადევნოს სანიტარულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, გაავრცელოს მოსახლეობაში სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა და დაავადებათა სოციალური და პირადი პროფილაქტიკის საფუძვლები;

დ) მოაწყოს მშობიარეთა დახმარების საქმე, დანერგოს ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ღონისძიებანი; უხელმძღვანელოს დედისა და ბავშვის დაცვას;

ე) მოაწყოს მოსახლეობისათვის საავადმყოფოს, ამბულატორული და სპეციალიზებული სამკურნალო სამედიცინო დახმარება;

ვ) უხელმძღვანელოს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს და თვალყური ადევნოს ოლქის ტერიტორიაზე არსებული რესპუბლიკური და საერთოსაკავშირო მნიშვნელობის კურორტების მუშაობის დაყენებას;

ზ) მოაწყოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

40. სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს ოლქში სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

ბ) მოაწყოს ღონისძიებანი ინვალიდების, პენსიონერების, დაღუპული მეომრების ოჯახებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში;

გ) მოაწყოს შრომითი საექიმო-საექსპერტო კომისიები;

დ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვალიდთა კოოპერაციის საოლქო დამზღვევ და ურთიერთდამხმარე სალაროებს, უსინათლოთა საზოგადოებისა და ყრუმუნჯთა საზოგადოების განყოფილებებს.

41. აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს საოლქო სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობას და მოისმინოს მისი ანგარიშები;

ბ) ხელი შეუწყოს საოლქო სტატისტიკური სამმართველოს მისი ამოცანების განხორციელებაში და უზრუნველყოს, რომ საოლქო აღმასკომის განყოფილებებმა და საოლქო აღმასკომისადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ აღრიცხვისა და სტატისტიკის ფუნქციები;

გ) განიხილოს ოლქის სააღრიცხვო-სტატისტიკური სამუშაოთა გეგმები და მისცეს დასკვნები ამ გეგმების შესახებ.

42. კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) განიხილოს ოლქის კავშირგაბმულობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის წლიური და პერსპექტიული გეგმები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის პერიოდული ანგარიშები ამ გეგმების შესრულებისა და კავშირგაბმულობის მდგომარეობის შესახებ ოლქში;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი სოფლების, კოლმეურნეობების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვათა რადიოფიკაციის დარგში.

43. სასამართლოს წყობილების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეიტანოს საოლქო საბჭოს სესიის განსახილველად წინადადებანი საოლქო სასამართლოს შემადგენლობის არჩევის შესახებ;

ბ) დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სია საზღვრების აღნიშვნით;

გ) დაადგინოს სახალხო სასამართლოების არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რაოდენობა;

დ) თვალყური ადევნოს, რომ რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ ფუნქციები, რომლებიც მათ ეკისრებათ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების თანახმად სახალხო სასამართლოების არჩევნების მოწყობის დარგში.

44. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) ზომები მიიღოს სახელმწიფო დანაშაულის, სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სხვა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და ბრძოლა აწარმოოს მათ წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

ბ) აღზარდოს მშრომელები სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მკაცრად დაცვის სულისკვეთებით;

გ) განახორციელოს ოლქის ტერიტორიაზე რელიგიური კულტების შესახებ მოქმედი კანონმდებლობა;

დ) ოლქის ფარგლებში მუშაობის ნებართვა მისცეს ნებაყოფლობითს საზოგადოებებს;

ე) უზედამხედველოს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის საქმეს;

ვ) უზედამხედველოს სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლას და დახმარება გაუწიოს დაზარალებულთ

45. სამხედრო საქმის დარგში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

ა) ხელი შეუწყოს, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონისა და სამხედრო სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა შესაბამისად, სამხედრო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების მოსახდელად მოქალაქეთა გაწვევის საქმეში;

ბ) ხელი შეუწყოს საბჭოთა არმიის ნაწილების მატერიალური, პოლიტიკური და საყოფაცხოვრები მდგომარეობის გაუმჯობესებას;

გ) მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა როგორც მორიგი, ისე მობილიზაციის წესით გაწვევის, აგრეთვე სამხედრო მომზადებისათვის ყველა სახეობის შეკრების მოწყობაში. სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვაში, ცხენთა, სამხედრო გადასაყვან-გადასაზიდ საშუალებათა, სამხედრო-სანაოსნო და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობის აღრიცხვასა და დამზადებაში და მშრომელთა სამხედრო მომზადებისათვის გამოცემულ განკარგულებათა განხორციელებაში;

დ) თვალყური ადევნოს, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის მინიჭებული შეღავათი და უპირატესობანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

ე) უზედამხედველოს სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებისა და დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) დაეხმაროს მუშაობაში არმიის, ავიაციისა და ფლოტის დამხმარე საკავშირო ნებაყოფლობითს საზოგადოებას.

46. ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ, ისევე როგორც თანამდებობის ცალკეული პირებისა და აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტად შესრულების ზედამხედველობა ოლქის ტერიტორიაზე ხორციელდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ როგორც უშუალოდ, ისე ოლქის პროკურორის საშუალებით.

90. ბრძანებულება თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შესახებ

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებამდე, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების შესაბამისად, შეიქმნას თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ყუჯიაშვილი ივანე პეტრეს-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე,

ბედიაშვილი ალექსანდრე სპირიდონის-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

ალავერდაშვილი მიხეილ ბესარიონის-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

გონგაძე ვარლამ ალექსანდრეს-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

გურბელაძე ვალერიან ზაქარიას-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

საგინაშვილი გიორგი სპირიდონის-ძე — თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები:

ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე,
გიგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე,
ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს-ძე,
ბილანიშვილი გრიგოლ ალექსის-ძე,
კეხსუაშვილი გაბრიელ ისაკის-ძე,
გურაშვილი ვიქტორ გიორგის ძე,
მათიაშვილი თაბარ მიხეილის ასული,
ჭირაქაძე არჩილ ვარლამის-ძე,
ბერიანიძე შალვა ზაქარიას-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1951 წ. 4 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მხატვრული თვითმოქმედების განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისა და ხანგრძლივი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. აბაშიძეს ივანე ლევანის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
2. არჯევნიშვილს მარიამ ალექსის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს.
3. ბაქრაძეს სერგი კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
4. ბახტაძეს მიხეილ იოსების-ძეს — ქ. თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფს.
5. ბერიას ვერა იონას ასულს — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს
6. ბერძენიშვილს ვლადიმერ ლაზარეს-ძეს — ჩოხატაურის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
7. გველესიანს სოლომონ მეთოდეს-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს.
8. გოგიტიძეს ვალერიან ამბაკოს-ძეს — ქ. ბათუმის მასწავლებლის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს.
9. ერქომაიშვილს არტემ გიგოს-ძეს — მახარაძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
10. ერქომაიშვილს ვლადიმერ გიგოს-ძეს — მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
11. კალანდიას იროდი ტაგუს-ძეს — ზუგდიდის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
12. მახათელაშვილს ფირუზ დავითის ძეს — ქ. თელავის მასწავლებლის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. მახარაძეს ვასილ ივანეს-ძეს — საქართველოს კოოპინკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

14. მეედლიშვილს ივანე გიორგის-ძეს — საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

15. ნასიძეს ალექსანდრე პორფილეს-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს.

16. პაპალაშვილს გიორგი ნიკოლოზის-ძეს — ახმეტის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

17. სეგუას მიხეილ იაკობის-ძეს — ზესტაფონის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

18. ქარსელაძეს აკაკი მელქიზას-ძეს — ქ. თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

19. ქუთათელაძეს მამანტი ნოეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

20. ციცაგს ლავრენტი იოსების-ძეს — რეჟისორს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სათეატრო განყოფილების გამგეს.

21. ხავთასს მიხეილ პორფილეს-ძეს — ქ. ფოთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

22. ხუხუას ტრიფონ დავითის-ძეს — გეგეკორის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 7 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამპატიო სიგელით

მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამპატიო სიგელით:

1. ანანიძე ალექსანდრე მურადის-ძე — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
2. არძინბა გრიგოლ შაგის-ძე — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფ. დურიფშის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
3. ახალედიანი იოსებ გერასიმეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის საკლუბო დაწესებულებათა განყოფილების უფროსი.
4. ბახანაშვილი პაშა დავითის-ძე — საქართველოს სარეწაო საბჭოს ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
5. ბეციაშვილი ოთარ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.
6. ბუაჩიძე გენადი ირაკლის-ძე — ორჯონიკიძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი.
7. გარუჩავა ნიკოლოზ იორდანეს-ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
8. გეწაძე აკაკი ლეონტის-ძე — ამბროლაურის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
9. გვახარია დავით გიორგის-ძე — აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
10. გრიგოლიშვილი გიორგი გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.
11. გუშბერიძე ელგუჯა აგაბოს-ძე — ქუთაისის საკონსერვო ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
12. დადვანი პლატონ ლაზარეს-ძე — ზემოსვანეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. დარახველიძე გიორგი ვიქტორის-ძე —საქართველოს კოოპინკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
14. თედეევი გიორგი სარდიონის-ძე —ქ. სტალინირის მასწავლებლის სახლის ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
15. იაშვილი სოლომონ გიორგის-ძე —ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
16. იაშვილი შალვა ევგენის-ძე — დუშეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
17. კაკაჩია ნიკოლოზ ანდრიას-ძე—ჩხოროწყუს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
18. კობახიძე ვასილ სამსონის-ძე —თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საკოლმეურნეო კლუბის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.
19. მაისურაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე —ონის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
20. მანჯგალაძე კონსტანტინე იაკიმეს-ძე —ქ. რუსთავის კულტურის სახლის ქორეოგრაფი.
21. მელაძე თეიმურაზ დურსუნის-ძე —აჭარის ასსრ ხულოს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.
22. მიმინოშვილი ლონგინოზ ეფრემის-ძე —ცხაკაიას რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
23. მუედლიშვილი პლატონ დიმიტრის-ძე —ხაშურის რკინიგზის კვანძის საელმავლო დეპოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
24. ოჩიგავა ალექსანდრე საჩინოს-ძე —ქ. სოხუმის სარეწაო კოოპერაციის კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
25. პატარიძე ნინო ვასილის ასული —ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის მასწავლებლების მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.
26. სადრაძე ვალერიან ლუკას-ძე —აჭარის კოოპკავშირის კლუბის ანსამბლის ხელმძღვანელი.
27. სალია ვლადიმერ ზოსიმეს-ძე —წალენჯიხის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.
28. საღუჭვაძე გიორგი ისაკის-ძე—მახარაძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. სამკჟუაშვილი ნიკოლოზ რაჟდენის-ძე —ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სოფ. დიდი ლილოს კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

30. საჯაია ბორის დომენტის-ძე —აფხაზეთის ასსრ გალის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

31. ურუშაძე აკაკი ვლადიმერის-ძე—ყაზბეგის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

32. ქუთათელაძე გიორგი ვლადიმერის-ძე —ჩოხატაურის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

33. ღოღობერიძე ქეთევან ნიკოლოზის ასული —ქარელის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

34. ყურაშვილი მექი ალექსანდრეს-ძე —აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

35. შენგელია ნათელა თეოფილეს ასული —კასპის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

36. შუბაშიკელი მიხეილ ზაქარიას-ძე —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე.

37. ჩივაძე გრიგოლ ისაკის-ძე —ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

38. ჩირინაშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორის მოადგილე.

39. ჩიჩბა ალექსი ჩანტოს-ძე —აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

40. ჩიხლაძე ანტონ ალექსის-ძე —საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

41. ჭკუასელი დავით პავლეს-ძე —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. ჭიხონელიძე რუბენ ანთიმოზის-ძე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

43. ჭუმბურიძე ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — დუშეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი.

44. ხაბაძე ენვერ სულეიმანის-ძე — ბათუმის რაიონული კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

45. ჯატიევი ვასილ ილიას-ძე — ქ. სტალინირის კულტურის სახლის ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

46. ჯიჯგიეიშვილი ალექსანდრე ქრისტეფორეს-ძე — აჭარის კოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 7 დეკემბერი.

93. „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება ვ. დ. დობრჟანსკაიასათვის, ტ. ბ. ფარცხალაძისათვის, დ. ბ. შანიძისათვის, ვ. ი. ცხვარიაშვილისა და გ. ა. ხუროძისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულებაში „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი შესწორება: საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭოთ დობრჟანსკაიას ვერა მიტროფანეს ასულს (და არა დობრჟანსკაიას ვერა დავითის ასულს), ფარცხალაძეს ტიტე ვასილის-ძეს (და არა ფარცხალაძეს ტიტე ბესარიონის-ძეს), შანიძეს დიმენტი ბესარიონის-ძეს (და არა შანიძეს დიმიტრი ბესარიონის-ძეს), ცხვირავაშვილს ვლადიმერ იაკობის-ძეს (და არა ცხვარიაშვილს ვლადიმერ იაკობის-ძეს), ხუროძეს გიორგი ადამის-ძეს (და არა ხუროძეს გრიგოლ ადამის-ძეს).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. ბრძანებულება ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შესახებ

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებამდე, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების შესაბამისად, შეიქმნას ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ლომიძე ბორის ერმალოს-ძე — ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე,

თოფურია ალექსი რუბენის-ძე — ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

გაბრიაძე ლევან ნიკოლოზის-ძე — ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

ღოღობერიძე გიორგი დავითის-ძე — ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

გვანცელაძე თამარ კონსტანტინეს ასული — ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები:

მგელაძე აკაკი ივანეს-ძე,
კოკაია გრიგოლ ნესტორის-ძე,
სებისკვერაძე ფილარეტ დავითის-ძე,
ჩაკვეტაძე ვლადიმერ თეიმურაზის-ძე,
იამანიძე მელენტი სიმონის-ძე,
ჩიქოვანი ალექსი გიორგის-ძე,
ნემსაძე ზურაბ ივანეს-ძე,
გოშხეთელიანი ივანე სპირიდონის-ძე,
გოგია შალვა ალექსის-ძე,
გონგლაძე მიხეილ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 25 დეკემბერი.